MES 4 14 00549750

29/07/2014

ისანი-სამგორის საგანმანათლებლო
რესურსცენტრის უფროსს
ნანა ჩეკურიშვილს

ქალბატონო ნანა,

თქვენი 2014 წლის 25 ივლისის №542466 წერილის პასუხად, რომელიც ეხება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლის მიერ სარემონტო სამუშაოების (სავარაუდო ღირებულება – 14480,00 ლარი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებართვას გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი სსიპ თბილისის N74 საჯარო სკოლამ განახორციელოს ზემოაღნიშნული შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ,,შესასყიდი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს აუცილებლობით გამოწვეული პრობლემის მოსაგვარებლად საჭირო ვადებს".

ამასთან, შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,პასუხისმგებლობა ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვისათვის, შესყიდვების რაციონალური განხორციელებისათვის მთლიანად ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას".

პატივისცემით,

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის დროებით მ/შ ნანა ხმალაძე

MES 0 14 00550105

30/07/2014

სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლას

თქვენი N541670, 25/07/2014 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს N549750, 29/07/2014 კორესპონდენციას სკოლის მიერ სარემონტო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების ნებართვასთან დაკავშირებით.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

სოფიო ტარასაშვილი

რესურსცენტრის უფროსის
დროებით მოვალეობის შემსრულებელი

ხელშეკრულება №-06-45
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 6 აგვისტო 2014 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ.შ მარინე ჯარმელიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ხურო" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი რეხვიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ" პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკის დეპარტამენტის თანხმობის წერილის #549750; 29.07.2014 შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებული შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.(CPV კოდი 45400000)

1.2. შესასრულებელი სამუშაოების აღწერა და მოცულობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

2.1. სამუშაოების (ხელშეკრულების) საერთო ღირებულება შეადგენს 14123,4 (თოთხმეტი ათას ას ოცდასამი ლარი, 40 თეთრი) ლარს.

2.2. სამუშაოების საერთო ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

2.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად:

2.4.1 მიმწოდებლის მოთხოვნით შესაძლებელია განხორციელდეს წინასწარი ანგარიშსწორება სამუშაოების (ხელშეკრულების) საერთო ღირებულების 30%(4230 ოთხიათას ორას ოცდაათი ლარი) ოდენობით, მიმწოდებლის მიერ იმავე თანხის იდენტური გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში წარმოდგენიდან 2 (ორი) საბანკო დღის ვადაში. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

2.4.2.საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდგომ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით დადგენილი წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 3. სამუშაოების შესაბამისობა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების წესი**

3.1. მიმწოდებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს შესასრულებელი სამუშაოს პროექტს და საქართველოში მოქმედ წესებსა და ნორმებს.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3.3. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.4. მიღება-ჩაბარების აქტის გასაფორმებლად მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

3.5. სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველი ატარებს სამუშაოების შემოწმებას, რისი მიზანიც არის შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის დადგენა შემსყიდველის მოთხოვნებთან, დამტკიცებულ პროექტთან და არსებულ

სტანდარტებთან. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

3.6. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციის და შემოწმების შედეგების საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უარის თქმა უნდა განხორციელდეს შემოწმების დასრულებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

3.7. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების სრულად შესრულების შემდეგ, სამუშაოების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციათან ერთად შემსყიდველს წარმოუდგინოს ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა საკუთარი სახსრებით.

**მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) მოსთხოვოს მიმწოდებელს შემოწმების ან/და კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი სახსრებით.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) ხელი არ შეუშალოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;

ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით და პირობებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოების შეასრულოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ბ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას ნებისმიერი სახის ნაკლი და დეფექტი;

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

დ) უზრუნველყოს სამუშაოების მიდინარეობის დროს მის მიერ დახარჯული კომუნალური გადასახადების (წყლი, ელექტროენერგია) გადახდა. კომუნალური მომსახურების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება სამუშაოების დაწყება-დამთავრების დროს მრიცხველის მონაცემების საფუძველზე.

ე) წყლის ხარჯის დადგენა მოხდება მრიცხველის ჩვენებეის აღრიცხვითა და შესაბამისი აქტის გაფორმებით;

**მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს სკოლის დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილი

5.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი.

5.3. კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი დეფექტის და ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

**მუხლი 6. პასუხისმგებლობა და პირგასამტეხლო**

6.1. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ხუთწლიანი გარანტიაზე და დეფექტის წარმოშობის შემთხვევაში საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილი წუნის საკუთარი სახსრებით აღმოფხვრაზე.

6.2. ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადაში შემსყიდველის მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებული ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადებში მოახდინოს წუნის გამოსწორება.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს

დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.5. ამ ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელსეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

6.6. ვადაგადაცილებულ დღეებზე პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

**მუხლი 7. ფორსმაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

**მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერებით დადასტურებული შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.4. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთვევაში, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს გონივრულ ვადაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

**მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი**

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

**მუხლი 10. შეტყობინება**

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

**მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა**

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების,

მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 12. ხელშეკრულების ენა**

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

**მუხლი 13. სამუშაოს შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები**

13.1. სამუშაოების მიწოდების ადგილია სსიპ - ქალაქ თბილისის N74 საჯარო სკოლა (მისამართი- კაკაბეთის ქ. # 2);

13.2. მიმწოდებლი მიერ სამუშაოები უნდა შესრულდეს არაუგვიანეს 2014 წლის 5 სექტემბრისა.

13.3. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 5 ნოემბრის ჩათვლით.

**მუხლი 14. სხვა პირობები**

14.1 მიმწოდებელს არ აქვს უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

14.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და ვადების გადაცილებით შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს სახით დაქვითოს ხელშეკრულების ღირებულებიდან შესაბამისი თანხა.

**მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები**

მიმწოდებელი
შპს „ხურო“

______________

მისამართი: ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა #41
ტელეფონი:
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886216
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE72BG0000000125657000

დირექტორი გიორგი რეხვიაშვილი

---------------------------

ბ.ა

შემსყიდველი
სსიპ-ქალაქ თბილისის #74 საჯარო სკოლა

______________

მისამართი: ქ. თბილისი, კაკაბეთის ქუჩა #2
ტელეფონი: 2776478
საიდენტიფიკაციო კოდი: 206105150
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის დასახელება: სს „ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE32LB0121121092802000

დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილი

---------------------------

ბ.ა

## მშენებლობის ღირებულების კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება
## ქ. თბილისის №74 საჯარო სკოლის პანდუსის მოწყობა და სათავსოთა კაპიტალური შეკეთება

| რიგითი № | ხარჯთ. № | თავების, ობიექტების, სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ათასი ლარი | | | | საერთო სახარჯთაღ. ღირებულება ათასი ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სამშენებლო სამუშაოები | სამონტაჟო სამუშაოებ. | მოწყობილობა | სხვადასხვა სამუშაოებ. | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | | თავი 2<br>მშენებლობის ძირითადი ობიექტები | | | | | |
| 1 | ხარჯთ.№2-1 | პანდუსის მოწყობა | | | | | 5127.80 |
| 2 | ხარჯთ.№2-2 | I სართულის ტუალეტები ვაჟებისათვის | | | | | 6601.40 |
| 3 | ხარჯთ.№2-3 | ტუალეტების წყალსადენ-კანალიზაცია | | | | | 1316.87 |
| 4 | ხარჯთ.№2-4 | ტუალეტების ელგანათება | | | | | 692.64 |
| 5 | | ჯამი | | | | | 13738.72 |
| 6 | | ექსპერტიზა ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროში | | | | | 384.68 |
| 7 | | სულ კრებსითი ხარჯთაღრიცხვით | | | | | **14123.40** |

შ.პ.ს "ხურო"-ს დირექტორი: გ. რეხვიაშვილი

# ქ. თბილისის №74 საჯარო სკოლა
## I სართულის ტუალეტები ვაჟებისათვის
ხარჯთაღრიცხვა №2-2

| NN | სამუშაო | განზ. | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | დაზიანებული ხის კარის დემონტაჟი 1 ცალი | მ2 | 1.85 | | | 4.00 | 7.40 | | | 7.40 |
| 2 | ხის ფანჯრების დემონტაჟი | მ2 | 2.42 | | | 4.00 | 9.68 | | | 9.68 |
| 3 | არსებული მონოლითური ნიჟარის დემონტაჟი | კომპ | 1 | | | 25.00 | 25.00 | | | 25.00 |
| 4 | შეკიდული ჭერის დემონტაჟი | მ2 | 13.45 | | | 4.00 | 53.80 | | | 53.80 |
| 5 | კაფელის დემონტაჟი კედლებიდან | მ2 | 35 | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 19.60 | | | 4.00 | 78.40 | | | 78.40 |
| 6 | დაზიანებული ბათქაშის ჩამოყრა არსებული კედლებიდან | მ2 | 30 | | | 4.00 | 120.00 | | | 120.00 |
| 7 | ბეტონის ტიხრების მონგრევა | მ2 | 5.25 | | | | | | | |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 3.45 | | | 4.00 | 13.82 | | | 13.82 |
| 8 | იატაკიდან კერამიკული ფილების დემონტაჟი | მ2 | 13.15 | | | 4.00 | 52.60 | | | 52.60 |
| 9 | თურქული ჯამფილას დემონტაჟი | კომპლ. | 4 | | | 4.00 | 16.00 | | | 16.00 |
| 10 | დაზიანებული ბეტონის ფილის დემონტაჟი | მ3 | 1.345 | | | 4.00 | 5.38 | | | 5.38 |
| 11 | დაზიანებული წყალსადენის მილების დემონტაჟი | მ | 10 | | | 4.00 | 40.00 | | | 40.00 |
| 12 | დაზიანებული საკანალიზაციო მილების დემონტაჟი | მ | 12 | | | 4.00 | 48.00 | | | 48.00 |
| 13 | სამშ. ნაგვის დატვირთვა ა/მანქანებზე | მ3 | 3 | | | 8.00 | 24.00 | | | 24.00 |
| 14 | სამშენებლო ნაგვის გატანა 20კმ-ზე | ტ | 5.0 | | | | | 10.00 | 50.00 | 50.00 |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ახალი მონოლითური რკ/ბეტონის ფილის მოწყობა მ200 ბეტონისაგან | მ3 | 1.3 | | | 31.00 | 40.30 | | | 40.30 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ბეტონი მ200 | მ3 | 1.32 | 110 | 145.15 | | | | | 145.15 |
| | ყალიბის ფარი | მ2 | 1.78 | 15 | 26.72 | | | | | 26.72 |
| | საყალიბე ხის ფიცარი | მ3 | 0.05 | 550 | 26.17 | | | | | 26.17 |
| 16 | არმატურა ა1 | ტ | 0.02 | 1300 | 27.30 | | | | | 27.30 |
| 17 | არმატურა ა3 | ტ | 0.08 | 1300 | 106.60 | | | | | 106.60 |
| 18 | მეტალოპლასტიკის კარების მონტაჟი და ღირებულება | მ2 | 6.91 | | | 10.00 | 69.10 | | | 69.10 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | მეტალოპლასტიკის კარი | მ2 | 6.91 | 110 | 760.10 | | | | | 760.10 |
| 19 | მეტალოპლასტიკის ფანჯრების მონტაჟი და ღირებულება - 2 ცალი | მ2 | 2.42 | | | 10.00 | 24.20 | | | 24.20 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | მეტალოპლასტიკის ფანჯრები | მ2 | 2.42 | 100 | 242.00 | | | | | 242.00 |
| 20 | ბეტონის ტიხრების მოწყობა | მ2 | 10.8 | | | 5.00 | 54.00 | | | 54.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ცემენტის ხსნარი მ50 | მ3 | 0.05 | 90 | 4.86 | | | | | 4.86 |
| | სატიხრე ფილები | ც | 140.40 | 1 | 140.40 | | | | | 140.40 |
| | ხის ძელი | მ3 | 0.01 | 600 | 6.48 | | | | | 6.48 |
| | ნაჭედი | კგ | 0.86 | 2 | 1.73 | | | | | 1.73 |
| | ტოლი | მ2 | 0.65 | 1 | 0.65 | | | | | 0.65 |
| 21 | კედლების მაღალხარისხოვანი შელესვა ცემენტის ხსნარით | მ2 | 60.1 | | | 4.00 | 240.40 | | | 240.40 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 1.50 | 90 | 135.23 | | | | | 135.23 |
| 22 | კედლების მოპირკეთება მოჭიქული ფილებით | მ2 | 60.1 | | | 10.00 | 601.00 | | | 601.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.90 | 90 | 81.14 | | | | | 81.14 |
| | მოჭიქული ფილები | მ2 | 60.10 | 18 | 1081.80 | | | | | 1081.80 |
| 23 | ცემენტის მოჭიმვის მოწყობა სისქით 30მმ | მ2 | 13.15 | | | 4.00 | 52.60 | | | 52.60 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ცემენტის ხსნარი მ150 | მ3 | 0.40 | 90 | 36.22 | | | | | 36.22 |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | იატაკზე მეტლახის ფილების დაგება | მ2 | 13.15 | | | 10.00 | 131.50 | | | 131.50 |
| | მასალა: | | | | | | | | | |
| | ცემენტის ხსნარი მ100 | მ3 | 0.29 | 90 | 26.39 | | | | | 26.39 |
| | კერამიკული ფილები | მ2 | 13.41 | 18 | 241.43 | | | | | 241.43 |
| 25 | პლასტიკატის შეკიდული ჭერის მოწყობა კარკასზე | მ2 | 13.15 | | | 5.00 | 65.75 | | | 65.75 |
| | პლასტიკატი ლითონის კარკასით | მ2 | 13.54 | 10 | 135.45 | | | | | 135.45 |
| | ჯამი | | | | | | **1772.93** | | | **5048.72** |
| | ზედნადები ხარჯები ხელფასიდან | | 7% | | | | | | | **124.10** |
| | ჯამი | | | | | | | | | **5172.82** |
| | მოგება | | 5% | | | | | | | **258.64** |
| | ჯამი | | | | | | | | | **5431.47** |
| | რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე | | 3% | | | | | | | **162.94** |
| | ჯამი | | | | | | | | | **5594.41** |
| | დღგ | | 18% | | | | | | | **1006.99** |
| | სულ ხარჯთაღრიცხვით | | | | | | | | | **6601.40** |

**წყალსადენ კანალიზაცია**

| NN | სამუშაო | განზ. | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | წყალსადენის პლასტმასის მილი დ=15მმ | მ | 13 | | | 4.00 | 52.00 | | | 52.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | პლასტმასის მილი დ=15მმ | მ | 11.687 | 1.00 | 11.69 | | | | | 11.69 |
| 2 | წყალსადენის პლასტმასის მილი დ=20მმ | მ | 3 | | | 4.00 | 12.00 | | | 12.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | პლასტმასის მილი დ=20მმ | მ | 2.787 | 2.00 | 5.57 | | | | | 5.57 |
| 3 | ვენტილი პლასტმასის დ=15მმ,20მმ | ც | 2 | | | 4.00 | 8.00 | | | 8.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ვენტილი დ=15მმ | ც | 1 | 5.00 | 5.00 | 4.00 | 4.00 | | | 9.00 |
| | ვენტილი დ=20მმ | ც | 1 | 6.00 | 6.00 | 4.00 | 4.00 | | | 10.00 |
| 4 | სამკაპი 20/15 | ც | 4 | 0.80 | 3.20 | 4.00 | 16.00 | | | 19.20 |
| 5 | სამკაპი 20/20 | ც | 1 | 0.70 | 0.70 | 4.00 | 4.00 | | | 4.70 |
| 6 | სამკაპი 15/15 | ც | 1 | 0.60 | 0.60 | 4.00 | 4.00 | | | 4.60 |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მუხლი დ=15მმ ერთ მხარეს სახრახნით | ც | 6 | 0.90 | 5.40 | 4.00 | 24.00 | | | 29.40 |
| 8 | მუფტა დ=20მმ | ც | 1 | 0.50 | 0.50 | 4.00 | 4.00 | | | 4.50 |
| 9 | მუფტა დ=15მ | ც | 4 | 0.40 | 1.60 | 4.00 | 16.00 | | | 17.60 |
| 10 | ხელსაბანი სიფონით და წყალდამხარჯი ონკანით | კომპ | 2 | | | 10.00 | 20.00 | | | 20.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ხელსაბანი სიფონით და წყალდამხარჯი ონკანით | კომპ | 2 | 65.00 | 130.00 | | | | | 130.00 |
| 11 | ჯამფილების მონტაჟი ჩამრეცხი ავზით და სიფონით | კომპლ. | 4 | | | 10.00 | 40.00 | | | 40.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ჯამფილა ჩამრეცხი ავზით და სიფონით | კომპლ. | 4 | 90.00 | 360.00 | | | | | 360.00 |
| 12 | ტრაპი დ=50მმ | კომპ | 2 | | | 10.00 | 20.00 | | | 20.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ტრაპი | კომპ | 2 | 20.00 | 40.00 | | | | | 40.00 |
| 13 | კანალიზაციის პლასტმასის მილი დ=100მმ | მ | 4.0 | | | 4.00 | 16.00 | | | 16.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | მილი დ=100მმ | მ | 3.992 | 5.00 | 19.96 | | | | | 19.96 |
| | სამაგრი | კგ | 0.940 | 2.50 | 2.35 | | | | | 2.35 |
| 14 | კანალიზაციის პლასტმასის მილი დ=50მმ | მ | 14 | | | 4.00 | 56.00 | | | 56.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | მილი დ=50მმ | მ | 13.97 | 3.00 | 41.92 | | | | | 41.92 |
| | სამაგრი | კგ | 1.96 | 2.50 | 4.90 | | | | | 4.90 |
| 15 | სამკაპი 100X100 | ც | 4 | 3.50 | 14.00 | | | | | 14.00 |
| 16 | სამკაპი 100X50 | ც | 2 | 2.00 | 4.00 | | | | | 4.00 |
| 17 | სამკაპი 50X50 | ც | 2 | 1.00 | 2.00 | | | | | 2.00 |
| 18 | მუხლი დ=100მმ | ც | 1 | 3.00 | 3.00 | | | | | 3.00 |
| 19 | გამწმენდი დ=100მმ | ც | 1 | 2.00 | 2.00 | | | | | 2.00 |
| | ჯამი | | | | | | | | | **964.39** |
| | ზედნადები ხარჯები | | 7% | | | | | | | **67.51** |
| | ჯამი | | | | | | | | | **1031.89** |
| | მოგება | | 5% | | | | | | | **51.59** |
| | ჯამი | | | | | | | | | **1083.49** |
| | რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე | | 3% | | | | | | | **32.50** |
| | ჯამი | | | | | | | | | **1115.99** |
| | დღგ | | 18% | | | | | | | **200.88** |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ ხარჯთაღრიცხვით | | | | | | | | | **1316.87** |

**ელექტრო სამუშაოები**

| № | სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება | განზ. | | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 3 | 4 | 6 | 9 | 10 | 7 | 8 | 11 | 12 | 13 |
| 1 | სანათი შეკიდული ჭერის 60ვტ სარკისებური ნათურით 220ვ | ც | 9 | | | 4.00 | 36.00 | | | 36.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | სანათი შეკიდული ჭერის 60ვტ სარკისებური ნათურით 220ვ | ც | 9 | 13.00 | 117.00 | | | | | 117.00 |
| 2 | სანათი კედლის ლუმინესცენტური სიმძლავრით 1X12ვტ, 220ვ, ჰერმეტული შესრულების (ხელსაბანების თავზე) | ცალი | 2 | | | 4.00 | 8.00 | | | 8.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | სანათი კედლის ლუმინესცენტური სიმძლავრით 1X12ვტ, ჰერმეტული შესრულების | ცალი | 2 | 21.00 | 42.00 | | | | | 42.00 |
| 3 | ჩამრთველი ორკლავიშიანი და ერთკლავიშიანი ფარული გაყვანილობის ჰერმეტული შესრულების | ცალი | 2 | | | 4.00 | 8.00 | | | 8.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ჩამრთველი ერთკლავიშიანი | ცალი | 1 | 5.50 | 5.50 | | | | | 5.50 |
| | ჩამრთველი ორკლავიშიანი | ცალი | 1 | 6.00 | 6.00 | | | | | 6.00 |
| 4 | ალუმინის ძარღვიანი სადენი კვეთით 2X2,5მმ2 | მ | 75 | | | 0.50 | 37.50 | | | 37.50 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ალუმინის ძარღვიანი სადენი კვეთით 2X2,5მმ2 | მ | 75.00 | 1.00 | 75.00 | | | | | 75.00 |
| 5 | ვინიპლასტის მილი დ=16მმ | მ | 75 | | | 0.50 | 37.50 | | | 37.50 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ვინიპლასტის მილი დ=16მმ | მ | 75 | 1.00 | 75.00 | | | | | 75.00 |
| | ჯამი | | | | | | **127.00** | | | **447.50** |
| | ზედნადები ხარჯები - 75% ხელფასიდან | | 0.75 | | | | | | | **95.25** |
| | ჯამი | | | | | | | | | **542.75** |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოგება - 8% | | 5% | | | | | | | 27.14 |
| | ჯამი | | | | | | | | | 569.89 |
| | რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე | | 3% | | | | | | | 17.10 |
| | ჯამი | | | | | | | | | 586.98 |
| | დღგ | | 18% | | | | | | | 105.66 |
| | სულ ხარჯთაღრიცხვით | | | | | | | | | 692.64 |

შ.პ.ს "ხურო"-ს დირექტორი: გ. რეხვიაშვილი

"ხურო" "KHURO" 202886216 GEORGIA. TBILISI. LTD.

## ქ. თბილისის №74 საჯარო სკოლა
## პანდუსის მოწყობა და კიბის რეკონსტრუქცია

ხარჯთაღრიცხვა №2-1

სამშენებლო სამუშაოები

| NN | სამუშაო | განზ. | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 1 | პანდუსის მოსაწყობად ასფალტობეტონის ფენის აყრა | მ2 | 18.5 | | | 4.00 | 74.00 | | | 74.00 |
| 2 | პანდუსის საძირკვლისთვის მიწის დამუშავება ხელით | მ3 | 5.5 | | | 6.00 | 33.00 | | | 33.00 |
| 3 | კიბის შემომზღუდავი კედლებიდან დაზიანებული ბათქაშის ჩამოყრა | მ2 | 11.8 | | | 4.00 | 47.20 | | | 47.20 |
| 4 | საყვავილის კედლებიდან დაზიანებული ბათქაშის ჩამოყრა | მ2 | 4.7 | | | 4.00 | 18.80 | | | 18.80 |
| 5 | არსებული კიბის ბაქნიდან და საფეხურებიდან დაზიანებული მონოლითური მოზაიკის აყრა | მ2 | 14.8 | | | 3.00 | 44.40 | | | 44.40 |
| 6 | მიწის და სამშ. ნაგვის დატვირთვა ა/მანქანებზე | მ3 | 13 | | | | | | | 0.00 |
| | შრომის დანახარჯები | კაც/სთ | 9.62 | | | 6.00 | 57.72 | | | 57.72 |
| 7 | სამშენებლო ნაგვის გატანა 20კმ-ზე | ტ | 3.46 | | | | | 10.00 | 34.60 | 34.60 |
| 8 | ქვაბულის ფსკერზე ხრეშის მოფენა | მ3 | 1.85 | | | 4.00 | 7.40 | | | 7.40 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ხრეში | მ3 | 2.31 | 15 | 34.69 | | | | | 34.69 |
| 9 | შენობის პორტალზე ბეტონის პანდუსის მოწყობა მ200 ბეტონისაგან | მ3 | 3.92 | | | 35.00 | 137.20 | | | 137.20 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ბეტონი მ200 | მ3 | 4.00 | 130 | 519.79 | | | | | 519.79 |
| 10 | პანდუსის ლითონის მოაჯირის მოწყობა | მ | 15.6 | | | 10.00 | 156.00 | | | 156.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ლითონის მოაჯირი | მ | 15.60 | 40 | 624.00 | | | | | 624.00 |
| | ცემენტი მ300 | ტ | 0.02 | 160 | 3.74 | | | | | 3.74 |
| 11 | შენობის კედელზე მეტალის სახელურის მონტაჟი, მილი დ=40მმ | მ | 6.8 | | | 5.00 | 34.00 | | | 34.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | მილი დ=40მმ | მ | 6.80 | 6 | 40.80 | | | | | 40.80 |
| 12 | პანდუსის ზედაპირზე ბაზალტის ფილების დაგება | მ2 | 13.50 | | | 10.00 | 135.00 | | | 135.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ბაზალტის ფილები | მ2 | 13.50 | 35 | 472.50 | | | | | 472.50 |
| | ცემენტის ხსნარი | მ3 | 0.41 | 100 | 40.50 | | | | | 40.50 |
| | წებო-ცემენტი | კგ | 67.50 | 1 | 67.50 | | | | | 67.50 |
| 13 | პანდუსის შელესვა ცემენტის ხსნარით | მ2 | 3.85 | | | 4.00 | 15.40 | | | 15.40 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.10 | 100 | 9.82 | | | | | 9.82 |
| 14 | პანდუსის შეღებვა | მ2 | 3.85 | | | 3.00 | 11.55 | | | 11.55 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | საღებავი | კგ | 1.73 | 4 | 6.93 | | | | | 6.93 |
| 15 | ჩასატანებელი დეტალების მოწყობა | ტ | 0.03 | | | 800.00 | 24.00 | | | 24.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ჩასატანებელი დეტალები | ტ | 0.03 | 1600 | 48.00 | | | | | 48.00 |
| 16 | მოაჯირის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ | მ2 | 14 | | | 4.00 | 56.00 | | | 56.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 3.44 | 4 | 13.78 | | | | | 13.78 |
| | ოლიფა | კგ | 0.38 | 3 | 1.13 | | | | | 1.13 |
| 17 | მეტალის სახელურის შეღებვა ზეთოვანი საღებავით ორჯერ | მ2 | 1.43 | | | 4.00 | 5.72 | | | 5.72 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ზეთოვანი საღებავი | კგ | 0.35 | 4 | 1.41 | | | | | 1.41 |
| | ოლიფა | კგ | 0.04 | 3 | 0.12 | | | | | 0.12 |
| 18 | კიბის ბაქნისა და საფეხურების მოპირკეთება ბაზალტის ფილებით | მ2 | 14.8 | | | 10.00 | 148.00 | | | 148.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ბაზალტის ფილები | მ2 | 14.95 | 35 | 523.18 | | | | | 523.18 |
| | წებო-ცემენტი | კგ | 74.00 | 1 | 74.00 | | | | | 74.00 |
| | ცემენტის ხსნარი | მ3 | 0.30 | 100 | 29.60 | | | | | 29.60 |

| 1 | 3 | 4 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | კიბის შემომზღუდავი კედლებისა და საყვავილეების შელესვა ცემენტის ხსნარით | მ2 | 16.5 | | | 4.00 | 66.00 | | | 66.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | ცემენტის ხსნარი 1:3 | მ3 | 0.42 | 100 | 42.08 | | | | | 42.08 |
| 20 | კიბის შემომზღუდავი კედლებისა და საყვავილეების შეღებვა | მ2 | 16.5 | | | 4.00 | 66.00 | | | 66.00 |
| | მასალა: | | | | | | | | | 0.00 |
| | საღებავი | კგ | 7.43 | 4 | 29.70 | | | | | 29.70 |
| | ჯამი | | | | | | | | | **3755.25** |
| | ზედნადები ხარჯები | | 7% | | | | | | | **262.87** |
| | ჯამი | | | | | | | | | **4018.12** |
| | მოგება | | 5% | | | | | | | **200.91** |
| | ჯამი | | | | | | | | | **4219.02** |
| | რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე | | 3% | | | | | | | **126.57** |
| | ჯამი | | | | | | | | | **4345.59** |
| | დღგ | | 18% | | | | | | | **782.21** |
| | სულ ხარჯთაღრიცხვით | | | | | | | | | **5127.80** |

შ.პ.ს ხუროს დირექტორი: გ. რეხვიაშვილი